პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 თებერვალი, შაბათი, 1989 წ.
№ 24 (9943) ● ფასი 3 კაპ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# საერთო-სახალხო საქმეს — საერთო ძალისხმევა

**როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, ამას წინათ, განიხილა საკითხი თუ როგორ სრულდება საქართველოს კპ XXVII ყრილობის მოთხოვნები რესპუბლიკის ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.**

ბოლო ხანებში რესპუბლიკაში საგრძნობლად აქტიურდება მუშაობა ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი საქმიანობის სრულყოფისათვის, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მოზარდი თაობის იდეურ-ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის პროცესში.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ დაინერგა აბიტურიენტთა შემოწმება ფიზიკურ მომზადებაში, სკოლამდელ დაწესებულებებში, გამოსაშვებ კლასებში, სკოლა-ინტერნატებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში კი შემოღებულია გამოცდები. გაამართლა ფეხბურთში და კალათბურთში სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შექმნის ექსპერიმენტმა, ფიზკულტურის ინსტიტუტთან შეიქმნა სპორტსკოლა პერსპექტიული მოზარდებისათვის, საინტერესო წამოწყებად მოგვევლინა სტუდენტთა „გიგანტური თამაშები", თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თაოსნობით ყალიბდება სტუდენტური გუნდები კალათბურთსა და წყალბურთში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო პირველობებში.

მიღწეულია სპორტული შედეგების გარკვეული გაუმჯობესება. მაგალითად, სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებში და ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში საქართველოს სპორტსმენებმა დაიკავეს V ადგილი, სეულის ოლიმპიურ თამაშებში კი 9 სტუდენტმა სპორტსმენმა 6 მედალი მოიპოვა. თბილისში წარმატებით ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონატი ძიუდოში სტუდენტთა შორის.

ამასთან, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს პარტიის თანამედროვე მოთხოვნებს, ამ მიმართებით შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებები პროცესების გარდაქმნასა და მართვის სისტემაში. ამგვარი მდგომარეობა გარკვეულწილად აიხსნება იმით, რომ სასწავლებელში ფიზიკური აღზრდა ვერ იქცა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანად. ამას მოწმობს ფიზკულტურის საგნისადმი დამოკიდებულება. დრო, რომელიც ეთმობა ფიზიკურ აღზრდას, მიზერულია. სკოლებში სადღეისოდ იგი შეადგენს კვირაში 2 საათს, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში — 4 საათს, მაშინ, როცა მედიცინის მონაცემებით დატვირთვა უნდა იყოს 8-10 საათი. ასეთ ვითარებაშიც კი თბილისის უნივერსიტეტში შესაძლებლად ჩათვალეს ფიზკულტურისათვის გამოყოფილი დრო შეემცირებინათ ერთი მესამედით. ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობის შეუფასებლობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ მოსწავლეთა 20 პროცენტი არ ეს-

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისა და დღეგრძელობისთვის ლაშქრობაში ჩაბმისათვის

# სპარტაკიადა დაიწყო



**როგორც** გაუწყეთ, „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში საზეიმოდ გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა რესპუბლიკური სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამაშია მძლეოსნობა, მინიფეხბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ტყვიის სროლა და ცურვა.

უკვე დამთავრდა შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელსაც საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლემ უმასპინძლა. გაცნობებთ გამარჯვებულებს და მათ შედეგებს.

**ქალები (45 წელზე უმცროსი ასაკი). 30 მეტრზე რბენა და ადგილიდან სიგრძეზე ხტომა.** ტატიანა ემხვარი (აფხაზეთის უნივერსიტეტი) — 4,3 და 2,54 მ. **ბირთვის კვრა.** ნუნუ სალდაძე (თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი) — 13 მ.

**45 წელზე უფროსი ასაკი. 30 მ. და ადგილიდან სიგრძეზე ხტომა.** მარლენა სმირი — 5,2 და 2,10 მ. **ბირთვის კვრა.** ზაირა შანგია (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 10,67 მ.

**სამჭიდი. (45 წელზე უმცროსი ასაკი).** 1. ტატიანა ემხვარი (აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი); 2. მაია ბაზუაშვილი (პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტი); 3. ნუნუ სალდაძე (უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი).

**45 წელზე უფროსი ასაკი.** 1. ლალი მორჩილაძე (გორის ეკონომიკური ინსტიტუტი); 2. მარლენა სმირი (აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი); 3. ზაირა შანგია (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

**კაცები. (45 წელზე უმცროსი ასაკი).** 60 მ. რამაზ ქობულაძე (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი) — 7,3; **ადგილიდან სიგრძეზე ხტომა.** ვიქტორ პაშკულსკი (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 3,03 მ. **ბირთვის კვრა.** ზურაბ ტალიკიშვილი (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 14.80 მ.

**45 წელზე უფროსი ასაკი.** 60 მ. რ. ნოვეიშვილი— 7,9; **ადგილიდან სიგრძეზე ხტომა და ბირთვის კვრა.** მამია ტუღუში (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 2,66 მ და 11,72 მ).

**სამჭიდი. (45 წელზე უმცროსი ასაკი).** 1. ვიქტორ პაშკულსკი (ვ. ი. ლენინის სახ. სპი); 2. ზურაბ ტალიკიშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი); 3. სერგეი ამოსოვი (აფხაზეთის უნივერსიტეტი).

**45 წელზე უფროსი ასაკი.** 1. შოთა დევაძე (ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი); 2. გივი ხოშოლავა (აფხაზეთის უნივერსიტეტი); 3. როსტომ ჯაბიევი (ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი).

**გუნდური:** 1. აფხაზეთის უნივერსიტეტი; 2. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3. სამედიცინო ინსტიტუტი.

სპორტკომპლექს „ბურევესტნიკში" მიმდინარეობს შეჯიბრება მინიფეხბურთში: პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი — ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი 5:0; თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი — თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი 2:3; თბილისის უნივერსიტეტი — გორის ეკონომიკური ინსტიტუტი 4:1; სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი 0:2; სამხატვრო აკადემია — თეატრალური ინსტიტუტი 3:0; სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი 5:3 (1:1); აფხაზეთის უნივერსიტეტი — ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 5:4 (1:1).

**მერი დილმელაშვილი**



**სურათებზე: თბილისის სამედიცინო ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრენბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი; უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გუნდში გამოდის ამ სასწავლებლის რექტორი ნ. ამაღლობელი.**

## ტელეტაიპი - მკითხველი

**ვეილი.** სამთომოთხილამურეთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი უამინდობის გამო გადაიდო. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა ფავორიტმა, შვეიცარიელმა პირმინ ცურბრიგენმა ვარჯიშის დროს ტრავმა მიიღო. ექიმების აზრით სპორტსმენმა მკერდი დაიზიანა და ალბათ შეძლებს შეჯიბრების გაგრძელებას.

# ამ კვირის ახალი ამბები

**საქართველოს** სპორტსახკომში მუშაობას შეუდგა საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისათვის რესპუბლიკური ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელობის შტაბი, იგი, რომელსაც სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე უხელმძღვანელებს, შეიკრიბება ოთხშაბათობით. პირველ სხდომაზე განიხილეს სპორტულ ტანვარჯიშში, აკრობატიკასა და ბატუტზე ხტომაში ნაკრები გუნდების მზადების მიმდინარეობის საკითხი. ინფორმაციით გამოვიდნენ ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები და სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელები. დაისახა მზადებაში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის კონკრეტული გზები. გადაწყვეტილების შესრულების საკითხს შტაბი დროდადრო დაუბრუნდება.

**საქართველოს სსრ** სახალხო განათლების სამინისტროს აკრობატიკის სპეციალიზებული სპორტული სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს რესპუბლიკაში. გუშინ ამ სკოლაში გაიმართა ღია პედსაბჭო, რომელზედაც სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ მიიწვია სახალხო განათლების სისტემის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ხელმძღვანელები. ამ ღონისძიების მიზანი იყო გამოცდილების განზოგადება.

**გუშინ** თბილისის საქარხნო რაიონის პარტიულ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა, რომელზედაც მიიწვიეს რაიონში მომუშავე ფიზკულტურული მუშაკები. იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 17 იანვრის ბიუროს სხდომაზე განხილული საკითხიდან გამომდინარე ამოცანებზე. გადაწყდა, რომ უახლოეს პერიოდში ჩატარდეს რაიონის სპორტული ბაზების ატესტაცია, შემუშავდება მოსწავლე-ახალგაზრდობასა და მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მიზნობრივი პროგრამა. მოეწყობა სპორტული ბაზების ზაფხულის სეზონისთვის მომზადების ერთთვიური, რაიონის ფიზკულტურის მასწავლებლებს შეუქმნენ ერთიან სპორტულ ფორმას.

ასეთი შეხვედრები სპეციალისტებთან ტრადიციად იქცევა. შეხვედრის შედეგები შეაჯამა პარტიის რაიკომის მდივანმა ე. ვასილიევმა.

## დაჯილდოება

**საქართველოს სსრ** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა ფიზკულტურასა და სპორტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის სპორტსახკომის საპატიო სიგელით დააჯილდოვა ახმეტის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ჯილიტაშვილი.

## წოდების მინიჭება

**საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა:**

ა. ყუფარაძეს — კალათბურთი;
მ. მესხს, ს. აპრესიანს, ბ. მაისურაძეს და გ. წიკლაურს (ყველა — ფეხბურთი);
რ. მიქაძეს — სპორტული ტანვარჯიში;
ა. მავრონგელოვს — აკრობატიკა;
გ. მაჭარაშვილს — ჭადრაკი;
გ. ცქიტიშვილს — რეგბი;
ზ. სულაშვილს — ბატუტზე ხტომა;
ჯ. ჯლუთაშვილს — ძიუდო.



**რეკონსტრუქციის** შემდეგ ხელახლა გაიხსნა სახალხო განათლების ქუთაისის განყოფილების ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული კრივის სკოლა, რომელსაც აქვს სამი საწვრთნელი დარბაზი, მოხერხებული გასახდელები საშხაპითა და საუნით, საკვები ბლოკი. სკოლაში ამჟამად 300 მოსწავლე მეცადინეობს.

ხუთი ქუთაისელი მოკრივე შეყვანილია საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში. ისინი მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო პირველობის წინ გამართულ შესარჩევ შეჯიბრებაში.

**სურათზე: საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვალერი ბურჯანაძე ახალგაზრდა მოკრივეებთან მეცადინეობის დროს.**

**გ. გერსამიას ფოტო**
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# მეტოქეები ცნობილი არიან

**ბაირაკვა** მათი ვინაობა, ვინც საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მეტოქეები იქნებიან „სიჭაბუკისა" და „იმედის" თასის საკავშირო გათამაშებებში.

„სიჭაბუკის თასზე" მონაწილეობას მიიღებენ 1974 წლის აგვისტოს შემდეგ და 1975 წლებში დაბადებულნი. ნახევარფინალურ მატჩებს ქ. ლენინგრადი უმასპინძლებს, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების მეტოქეები იქნებიან ესტონეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, ბელორუსიისა და ლენინგრადის გუნდები. ნახევარფინალები 6-16 ივლისამდე გასტანს.

„იმედის" თასის გათამაშება ქ. ნაბერეჟნიე ჩელნიში გაიმართება. ამ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ 1972 წლის აგვისტოს შემდეგ და 1973 წელს დაბადებულნი. ტურნირი 20-30 აგვისტოს ჩატარდება. აი, ის გუნდები, რომლებიც ამ შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას: ბელორუსია, ყაზახეთი, ესტონეთი, „შრომითი რეზერვები", რსფსრ.

**ორივე გათამაშებიდან ნახევარფინალებში გამარჯვებული ორ-ორი გუნდი ფინალურ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.**

# საერთო-სახალხო საქმეს— საერთო ძალისხმევა

(დასასრული)

წრება ფიზკულტურის გაკვეთილებს. განსაკუთრებით საგანგებო ვითარება შეიქმნა პროფტექნიკურ სასწავლებლებში. შემოწმების დროს, მაგალითად, ქუთაისის №4, 21,33,37 და 112-ე სასწავლებლებში ფიზკულტურის გაკვეთილები არ ჩატარებულა და სასწავლებელში არც მასწავლებლები გამოცხადებულან. საქმე უკეთესად როდია ტექნიკუმებსა და უმაღლეს სკოლებში.

სასწავლო პროცესის სრულყოფაში გარკვეული ადგილი უკავია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სტაბილურ კალენდარს, რომელიც შეიმუშავა სახალხო განათლების სამინისტრომ, სპორტსახკომმა, პროფსაბჭომ, კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, მაგრამ, მიუხედავად დადებითი როლისა, ეს კალენდარი მოითხოვს დახვეწას. ადგილებზე შესაბამისი ელემენტარული პირობებიც არაა, კალენდარი კი ავალდებულებს მასწავლებლებს განუხრელად და ყოველდღიურად შეასრულონ ზემოდან დაშვებული დავალება. პრაქტიკულად ისინი მოკლებულნი არიან აღსაზრდელებთან დამოუკიდებელ შემოქმედებით საქმიანობას, ადგილობრივი შესაძლებლობებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით არ ვითარდება მოცემულ რეგიონებში პოპულარული სპორტის ეროვნული და სათამაშო სახეობები.

ძალზე არასახარბიელო ვითარებაა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში, რაც ფიზიკური აღზრდის სისტემის შემადგენელ ნაწილად უნდა ითვლებოდეს. ამ მიმართებით გამოყოფილი სახსრები იხარჯება არარაციონალურად, სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივებში მუშაობა ფორმალური ხასიათისაა. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მოსწავლეთა უმრავლესობა მხოლოდ ეპიზოდურად მონაწილეობს. სახალხო განათლების ორგანოებში საერთოდ მიივიწყეს საზოგადოებრივი მწვრთნელებისა და მსაჯების მომზადების პრაქტიკა. რაიონებსა და ქალაქებში სახალხო განათლების სისტემის კომპლექსური სპორტული სკოლები პროცესებს ხელმძღვანელობენ არადამაკმაყოფილებლად, მუშაობას არ გარდაქმნიან გაზრდილი მოთხოვნების შესატყვისად. პროფკავშირების დარგობრივ კომიტეტებში გამოუყენებელი რჩება ბავშვთა და მოზარდთა სპორტული კლუბებისათვის გამოყოფილი მწვრთნელების 62 საშტატო ერთეული. კომუნალური და საყოფაცხოვრებო მეურნეობის სამინისტრო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები კვლავ არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას საბინაო-საექსპლოატაციო უბნების ფიზკულტურის მეთოდისტებისა და პედაგოგ-ორგანიზატორების მუშაობის საკითხს. არადამაკმაყოფილებელია საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სპორტულ სექციებში ძნელადაღსაზრდელი მოზარდების ჩაბმის არსებული მდგომარეობა. ამას ადასტურებს თბილისის ორჯონიკიძისა და საქარხნო რაიონებში ჩატარებული შემოწმება, სადაც ძველებურად დაუტვირთავია სპორტული მოედნები და სასკოლო სპორტული დარბაზები, რომლებიც არასასწავლო საათებში, განსაკუთრებით კვირა დღეებში და არდადეგების პერიოდში, ვერ იქცნენ შესაბამისი საცხოვრებელი კვარტალებისა და მიკრორაიონების მოზარდი თაობის გონივრული დასვენების კერებად. სრულიად მივიწყებულია კლასებს, სკოლებს და უმაღლეს სასწავლებლებს შორის პოპულარული შეჯიბრებების მოწყობის პრაქტიკა, არასაკმარისი რაოდენობით ტარდება მოსწავლეთა ტურისტული ლაშქრობები.

ადგილებზე სუსტად მიმდინარეობს სამხედრო-გამოყენებითი სპორტის სახეობების სწავლება. დოსააფის ორგანიზაციების საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ მანქანის ტარების სწავლებით, არ ზრუნავენ, რათა თავიანთი სკოლები და კლუბები აღჭურვონ სათანადო სპორტული ინვენტარითა და მოწყობილობებით. მასობრივი გასაქანი ვერ ჰპოვა „მხიარული სტარტების", „ციskრის", „მართვეს" პროგრამით გათვალისწინებულმა შეჯიბრებებმა.

ბევრია ფორმალიზმისა და სიყალბის ფაქტები მშდ ნორმატივების ჩაბარებაში. საკონტროლო შემოწმებისას მოსწავლეთა 80 პროცენტმა ვერ შეასრულა ნორმატივები. მეტიც, გასაწვევი ახალგაზრდების რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალში ზონალურ ასპარეზობებში გამარჯვებული 139 მონაწილიდან 44-მა ანუ 31,5 პროცენტმა საერთოდ ვერ ჩააბარა ნორმატივები.

შექმნილი მდგომარეობის გამო დღეს 6-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვთა 14 პროცენტში აღინიშნება ხერხემლის გამრუდება, ყოველ მეშვიდე მოზარდს და ყოველ მესამე სტუდენტს აქვს ზედმეტი წონა, 13500 მოსწავლე და 3750 სტუდენტი მიკუთვნებულია სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს — მათი უმეტესობა უკიდურესად სუსტი ფიზიკური მომზადებით ხასიათდება. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ ახალგაზრდების ფიზიკური მომზადებულობის შესწავლის მიზნით ჩატარებული შემოწმებისას 117 სტუდენტიდან საერთო ნორმატივები მხოლოდ 28 ჭაბუკმა და 22 ქალიშვილმა ჩააბარა. ეს იმის შედეგია, რომ საგანგაშო მდგომარეობა იშვიათად ხდებოდა ყოფილი განათლების სამინისტროს და პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის შესაბამისი ქვედანაყოფების, მასობრივ ფიზკულტურაზე ამჟერად პასუხისმგებელი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, აგრეთვე სპორტსახკომის, პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრინციპული მსჯელობის საგანი, არ ავლენდნენ და არ ამწვავებდნენ ზემოაღნიშნულ ფაქტებს.

ფიზიკური აღზრდის საქმეში არსებული ნაკლოვანებები უარყოფითად მოქმედებენ სპორტული რეზერვების მომზადებაზე. სახალხო განათლების სამინისტრო, სპორტსახკომი სუსტად ხელმძღვანელობენ სპორტული სკოლების, სპეცკლასების, სპეცსკოლების და სპორტული პროფილის ინტერნატების საქმიანობას. ბევრ მათგანში სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ტარდება პრიმიტიულად, მოუწესრიგებელია სასელექციო მუშაობა. ხელმძღვანელები და მწვრთნელები იშველიებენ რა ცალკეულ სპორტსმენთა წარმატებებს, რაც მიღწეულია ტალანტების ხარჯზე და არა ყოველდღიურად გაწეული მომქანცველი შრომის შედეგად, ცდილობენ მიჩქმალონ საქმის ვითარების ობიექტურობა. გადაუწყვეტელია ხობის სკოლა-ინტერნატის დაკომპლექტების საკითხი, იგი ვერ იქცა დასავლეთ საქართველოს რეგიონის სპორტული ტალანტების აღზრდის საბაზო კერად. საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო, ბოლო სამ წელიწადში 400 არაპერსპექტიული მოზარდი გაირიცხა გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატიდან. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ დიდძალი სახელმწიფო სახსრები და ძალისხმევა ფუჭად იკარგება. ასევე არადამაკმაყოფილებელია მდგომარეობა სპორტული პროფილის სხვა სკოლებში.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს უმაღლესი სკოლების სპორტული კლუბების საქმიანობა. თბილისის უნივერსიტეტმა ბოლო ოთხ საკავშირო უნივერსიადაში შესაბამისად დაიკავა 25-ე, 35-ე, 41-ე და 76-ე ადგილი. ხოლო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელმაც ადრე ხუთჯერ გაიმარჯვა ამ კომპლექსურ ასპარეზობაში, მხოლოდ 29-ე ადგილზე აღმოჩნდა. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურმა გუნდებმა, სპორტის სათამაშო სახეობებში ადრე რომ წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო სარბიელზე უმაღლესი და პირველი ლიგის კოლექტივებს შორის, ამჟამად დათმეს პოზიციები და გადავიდნენ დაბალ ლიგაში. ეს შედეგია იმისა, რომ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, პროფკავშირთა რესპუბლიკური დარგობრივი კომიტეტები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ და კოორდინირებენ სპორტკლუბების საქმიანობას. არ ავლენენ ჯეროვან დაინტერესებას აგრეთვე რექტორატები, უმაღლესი სკოლების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. მათ არ გაუკეთებიათ სათანადო დასკვნები „1986 წელს თბილისის უნივერსიტეტში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შესახებ" სადირექტივო მითითებებიდან. ეს საკითხი, უმაღლესი სკოლების სპორტკლუბების როლისა და ავტორიტეტის ამაღლების მწვავე აუცილებლობის მიუხედავად, წლების მანძილზე ვერ იქცა საქართველოს პროფსაბჭოს მსჯელობის საგნად.

სრული უპასუხისმგებლობითა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ჩავარდნებით ხასიათდება რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონის ხელმძღვანელთა საქმიანობა. ასე მაგალითად, 1988 წელს რესპუბლიკის ახალგაზრდული თამაშების პროგრამით კომპლექსურ შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიუღიათ ბოლნისის, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, დმანისის, ყაზბეგის, მარნეულის, ჩოხატაურის რაიონებს. შეშფოთებას იწვევს ის, რომ აღნიშნულ რეგიონებში სპორტული მომზადების ათობით ჯგუფის მიუხედავად, პარტიული და საბჭოთა ორგანოები არ აანალიზებენ სპორტული რეზერვის მომზადებაში ქრონიკული ჩამორჩენის მიზეზებს, არ ავლენენ მომთხოვნელობას იმ პირთა მიმართ, ვინც პასუხს აგებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ორგანიზაციაზე.

უაღრესად მწვავედ დგას საკადრო პოლიტიკის საკითხები. კადრებთან მუშაობის პრობლემებს აღრმავებს ისიც, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტში არასაკმარისია მისაღები კონტიგენტი, რის გამო ვერ აკმაყოფილებენ სპეციალისტების მოსამზადებლად წარდგენილ განაცხადებს. მაგალითად, 1988 წელს ინსტიტუტმა მიიღო სხვადასხვა რეგიონიდან მოთხოვნა 286 სპეციალისტის მომზადებაზე, მაშინ, როცა კურსდამთავრებულთა რაოდენობა იყო 164 ანუ წაყენებული მოთხოვნის 57 პროცენტი. ასეთი დისპროპორციის გამო სადღეისოდ სახალხო განათლების სისტემის სპორტულ სკოლებში მწვრთნელების დაახლოებით 30 პროცენტს არ გააჩნია ფიზკულტურული განათლება, ვაკანტური რჩება 80 საშტატო ერთეულზე მეტი.

შემაშფოთებელია ის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთგზის მითითებისა, სახალხო განათლების სამინისტრომ, სპორტსახკომმა, ფიზკულტურულმა და სპორტულმა საზოგადოებებმა აქამდე ვერ გამონახეს მწვრთნელთა და სპორტის მუშაკთა მხრიდან ნეგატიური გამოვლინებების პროფილაქტიკის ეფექტური ფორმები და კვლავ გვხვდება მსგავსი დარღვევები. მაგალითად, სიყალბეში ამხილეს „მართვეს" ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელი ზ. სამხარაძე, 1988 წლის ივლისში სპორტსახკომმა გამოავლინა საუწყებათაშორისო ოლიმპიური მომზადების ცენტრში სპორტსმენთა კვების ტალონების გაცემისას დაშვებული უხეში დარღვევები. 1209 ტალონიდან, რომელიც უნდა მიელო 16 მოზარდ სპორტსმენს, არ გაცემულა 876. სპორტსაზოგადოება „დინამოს" სპორტსკოლაში კი საერთოდ ფიქტიური შეკრება გააფორმეს. ჯერ კიდევ არ განუხილავთ თბილისის ცურვის ექსპერიმენტული სკოლის მწვრთნელების მიერ საკავშირო შეჯიბრების მაჩვენებლების ხელოვნურად გაზვიადებისა და სიყალბის საკითხი.

ფიზიკური აღზრდის პრობლემებისგან და შესაბამისად მოზარდი თაობის ჯანმრთელობის პროფილაქტიკისაგან განზე დგანან მედიცინის მუშაკები. თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში ღრმა სამედიცინო შემოწმება 26 უფროსკლასელ მოსწავლეს უტარდებოდა ფიზკულტურის ერთი გაკვეთილის ხარჯზე, რისთვისაც ეს დრო სრულიად არასაკმარისია. მეტიც, გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის 595 (5 პროცენტი) პირველკურსელი, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებელში შესვლის წინ წარადგინეს ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა, უკვე ინსტიტუტში ჩარიცხვიდან ერთი თვის შემდეგ, ისევ სამედიცინო დაწესებულების დახმარებით მიაღწიეს ფიზკულტურაში მეცადინეობიდან განთავისუფლებას თითქოსდა სუსტი ფიზიკური მდგომარეობის გამო. ეს ფაქტები ადასტურებენ სამედიცინო დაწესებულების მხრიდან მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურებაში არსებულ უწესრიგობაზე და ჯანმრთელობის სამინისტროს მხრიდან არაჯეროვან ყურადღებაზე.

უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად წყდებოდა ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ამოცანები. მაგალითად, რესპუბლიკაში 2370 საბავშვო ბაღიდან (189528 აღსაზრდელი) მხოლოდ 56 აქვს სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი კი — შვიდს. სკოლამდელი დაწესებულებების დიდ ნაწილს მარტივი ტიპის სპორტული მოედნებიც არ გააჩნია. 2659 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან სპორტული დარბაზი აქვს მხოლოდ 1280 (48 პროცენტი), მათ შორისაც ბევრი მორალურად მოძველებულია, არ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს, მოუვლელია და ცუდადაა აღჭურვილი ინვენტარით. უკეთესი მდგომარეობა სპორტული დარბაზების მხრივ არც უმაღლეს სასწავლებლებშია. ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 264 სპორტული დარბაზისა, არის მხოლოდ 90 (34 პროცენტი). მძიმე მდგომარეობაა შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში, ათწლეულების განმავლობაში მათ მარტივი ტიპის სპორტული ბაზებიც არ გააჩნიათ. აშკარა გულგრილობის შედეგია, რომ ქუთაისში ხუთიდან არც ერთი საცურაო აუზი არ მუშაობს. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ 1988 წლის 27 აგვისტოს №982 დადგენილების საპირისპიროდ გაურკვეველი დროით გააჭიანურა კალათბურთის ზოგადსაგანმანათლებლო სპეციალიზებული სკოლის სასწავლო ნაგებობის მშენებლობისათვის ტერიტორიის გამოთავისუფლების საკითხის გადაწყვეტა. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დღემდე არ შეუსრულებია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 მარტის №382 დადგენილება გლდანის სკოლა-ინტერნატის საჭიროებისათვის 2 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. მეტიც, სკოლა-ინტერნატში მრავალგზის ჩაიშალა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები. არადამაკმაყოფილებლად წყდება სტაციონარული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების შექმნის საკითხი. ასეთი რესპუბლიკაში სულ არის ექვსი. „საქკურორტმშენი" განუსაზღვრელი ვადით აჭიანურებს ფიზკულტურის ინსტიტუტის სასწავლო-საწვრთნელი ბაზის მშენებლობას ბაკურიანში. „საქგზამშენი" არადამაკმაყოფილებლად წარმართავს „ბეთანიის" სპორტულ-გამაჯანსაღებელი პიონერული ბანაკის მშენებლობას.

შექმნილი არასახარბიელო ვითარება მოწმობს, რომ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნების შესასრულებლად რესპუბლიკის ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის გაწეული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა არის უკიდურესად არასაკმარისი.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, სამინისტროები და უწყებები, რექტორატები, სასწავლო და აღმზრდელობითი დაწესებულებები, მასობრივი ინფორმაციის რესპუბლიკური და ადგილობრივი საშუალებები, განსაკუთრებით ეს ეხება გაზეთ „სახალხო განათლებას" და ახალგაზრდულ გამოცემებს, ჯეროვნად არ აფასებენ ფიზიკური აღზრდის პოლიტიკურ მნიშვნელობას მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტის, როგორც ზნეობრივი ამაღლების ქმედითი საშუალების, კოლექტივიზმის სულისკვეთების, მეგობრობის, ამხანაგობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოს მომავალ დამცველთა აღზრდის გაუმჯობესების აუცილებლობის საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესაბამისი განყოფილება არასაკმარისად აკონტროლებს ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე მთავრობის დადგენილებების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკის პროფსაბჭო, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტრო, საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტი, როგორც სათაო ორგანიზაციები, რესპუბლიკაში ვერ უზრუნველყოფენ მოზარდ თაობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის ჯეროვან წარმართვას, აგრეთვე აღნიშნულ საკითხზე ადრე მიღებული პარტიული და სამთავრობო დადგენილებების შესრულებისადმი ჯეროვან კონტროლს.

საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, როგორც უშუალო პასუხისმგებელი ფიზკულტურის მასობრიობასა და სპორტულ გამაჯანსაღებელ მუშაობაზე, უკიდურესად არასაკმარისად ასრულებს თავის ფუნქციას, არ გააჩნია მუშაობის მიზანმიმართული, მწყობრი სისტემა, შემოიფარგლება მხოლოდ ერთჯერადი ღონისძიებების ჩატარებით.

გადაწყვეტილია, რომ შემუშავდეს და განხორციელდეს სკოლამდელ დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საცხოვრებელ ადგილებში და მშრომელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების სპეციალური პროგრამა. გასათვალისწინებელია რა საკითხის მნიშვნელობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მხარი დაუჭირა წინადადებას ამ საქმეს სათავეში ჩაუდგეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მიზანშეწონილადაა მიჩნეული, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების სპეციალური პროგრამა მომზადდეს 1989 წლის პირველ კვარტალში და იგი მეორე კვარტალის დასაწყისში გამოქვეყნდეს პრესაში საჯარო განხილვისათვის. განხილვის შედეგად მიღებული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით პროგრამა საბოლოოდ დამტკიცდება და იქცევა სახელმძღვანელო დოკუმენტად.

## აქტიური დასვენების მსურველებს

### თბილისის სპორტკომიტეტი და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭო

## შაბათს და კვირას

**იწვევს:** დღეს — საავიაციო ქარხნის ტირში (სროლა, 11 სთ); საწარმოო გაერთიანება „პირიმზეში" (მაგიდის ჩოგბურთი, 18 სთ და 30 წთ); ორჯონიკიძის რაიონის ტირში (სროლა, 13 სთ);

ოქტომბრის რაიონის ტირში (სროლა, 17 სთ);

ოქტომბრის რაიონის დოსააფის ტირში (სროლა, 11 სთ);

პირველი მაისის რაიონის ტირში (სროლა, 11 სთ).

**ხვალ** — 58-ე საშუალო სკოლის კალათბურთის დარბაზში (წერეთლის, 106; კალათბურთი, 10 სთ);

№ 74 პროფტექნიკურ სასწავლებელში (კალათბურთი, 12 სთ);

ხელბურთის სპორტსკოლაში (გლდანი „ა" მიკრორაიონი, მინიფეხბურთი, 10 სთ და 30 წთ);

თბილისის ჭადრაკის სასახლეში (ჭადრაკი, 12 სთ);

153-ე საშუალო სკოლაში (ფონიჭალა, მინიფეხბურთი, 11 სთ).

**ხვალ გამოვაქვეყნებთ დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავისადმი მიძღვნილ სპორტმასობრივი ღონისძიებების გეგმას.**

ფეხბურთი-89

# საკონტროლო მატჩები

**როგორც** გაუწყეთ, ახალი სეზონისათვის მზადებას ჩვენი რესპუბლიკის ოსტატი ფეხბურთელები შავი ზღვის სანაპიროზე გადიან.

ქუთაისის „ტორპედომ" ეშერაში ორი საკონტროლო მატჩი გამართა. პირველი შეხვედრა ალმა-ათის „კაირატთან" ფრედ დამთავრდა — 0:0. მეორე მატჩში ქუთაისელებმა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის გუნდს სძლიეს — 3:1.

# საერთაშორისო ტურნირებზე

**ინდოეთში** მიმდინარე ჯ. ნერუს ტრადიციული საფეხბურთო მემორიალის მორიგ ტურში სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0. გოლი 58-ე წუთზე გაიტანა სერგეევმა.

სსრ კავშირის ფეხბურთელები ფინალში შეხვდებიან უნგრეთის გუნდს.

**ბანგკოკი.** აქ მიმდინარეობს საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი სამეფო თასზე, სადაც რსფსრ-ის ნაკრებიც მონაწილეობს. საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს ჩინეთის გუნდთან — 0:0.

# საფრანგეთი—მეორე კანდიდატი

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალური განაცხადი შეიტანა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში იმის თაობაზე, რომ სურს თავის ქვეყანაში უმასპინძლოს 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატს. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება იტალიაში, 1994 წლისა — ამერიკის შეერთებულ შტატებში და, აი, 20 საუკუნის მიწურულის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობას ფრანგები ლამობენ. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან ფურნე-ფაიარმა ამის თაობაზე ოფიციალური საბუთები ჩააბარა ფიფა-ს გენერალურ მდივანს იოზეფ ბლატერს.

ამ განაცხადს მხარს უჭერენ საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი, აგრეთვე, პარიზის მერი ჟაკ შირაკი, რომელმაც განაცხადა, რომ თუ მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში ჩატარდა, დედაქალაქში სპეციალურად ააგებენ ახალ სტადიონს.

საფრანგეთი მეორე ქვეყანაა შვეიცარიის შემდეგ, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა 1998 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი.

# გამარჯვება ალჟირელებს მიეკუთვნათ

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად დაამტკიცა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შედეგი ალჟირისა და ლიბიის გუნდებს შორის (აფრიკის ზონა). გამარჯვება ალჟირელებს მიეკუთვნათ — 2:0.

თვით მატჩი ამ გუნდებს შორის არ შემდგარა. იგი ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში უნდა გამართულიყო, მაგრამ ამ ქვეყნის ხელმძღვანელობამ უარი თქვა ალჟირელ ფეხბურთელთა ვიზებზე, ვინაიდან „ლიბია საომარ ვითარებაშია ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ამიტომაც სრული გარანტია არა აქვს, რომ მატჩის დროს შეძლებს ფეხბურთელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას".

ლიბიელთა განცხადებას ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამგვარი სანქციით უპასუხა.

# ბილეთების გაყიდვა დაიწყო

**როგორც** იტალიიდან იუწყებიან, ორმა შვეიცარიელმა ფეხბურთის მოყვარულმა მთელი ღამე გაათია ეროვნული შრომითი ბანკის მილანის განყოფილების წინ და შეიძინა ბილეთების პირველი ორი „სერია" იტალიის 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე.

როგორც იტყობინებიან, იტალიაში უკვე დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატის საბილეთო აჟიოტაჟი. რომის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე ბილეთების შეძენის მსურველთა ვეება რიგი დადგა, ქუჩაში მოძრაობის მოსაწესრიგებლად საჭირო გახდა პოლიციის ჩარევა. მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთების გაყიდვის პირველი დღე წარმატებით ჩატარდა, მხოლოდ სამ ქალაქში (პალერმო, კალიარი, ბელუნო) რამდენიმე საათის განმავლობაში 17 ათასი ბილეთი გაიყიდა.

ეს „სერიები" თავისებური აბონემენტია სხვადასხვა თამაშებზე, რომლებიც საორგანიზაციო კომიტეტის მიერაა შერჩეული და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დამტკიცებული ცალკეულ ქალაქებში. გამონაკლისია მხოლოდ მილანი და რომი, სადაც შესაბამისად ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატის პირველი და ფინალური მატჩები. ამ თამაშებზე ბილეთები ცალკე გაიყიდება წლეულს დეკემბრიდან.

ყოველ გულშემატკივარს, რომელსაც სურვილი აქვს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს დაესწროს, საკმაოდ რთული ოპერაცია მოელის ეროვნულ შრომით ბანკში. თავდაპირველად მან უნდა შეავსოს საგანგებო ბლანკი თავისი საანკეტო მონაცემების მიხედვით, შემდეგ შეიძინოს სპეციალური „ბონი" და მხოლოდ მისი წარდგენის შემდეგ იყიდის კუთვნილ ბილეთს 1990 წლის მაისში. ყველა ეს საბუთი პერსონალურია და მოქმედად ითვლება მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენისას. გარდა ამისა, გულშემატკივარს უფლება აქვს შეიძინოს „სერიების" მხოლოდ გარკვეული რაოდენობა. მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის აზრით ბილეთების გაყიდვის ამგვარი წესი გამორიცხავს სპეკულაციის შესაძლებლობას.

საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ იტალიაში გაიყიდება ბილეთების მხოლოდ 50 პროცენტი. დანარჩენი ბილეთები განკუთვნილია უცხოეთში გასაყიდად. მათი რეალიზაცია დაიწყება 1 აპრილიდან.

# სტადიონის დისკვალიფიკაცია

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციამ 3 კალენდარული მატჩით დისკვალიფიკაცია მისცა ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე ქალაქ პამპლონას „ოსასუნას" სტადიონს.

სასჯელი გამოწვეულია იმით, რომ ქ. პამპლონას ფეხბურთის მოყვარულებმა ამ სტადიონზე ჩაშალეს მატჩი ადგილობრივ „ოსასუნასა" და მადრიდის „რეალს" შორის. მიმდინარეობდა თამაშის 41-ე წუთი, ანგარიში იყო 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ. ამ დროს ტრიბუნებზე დაიწყო არეულობა, მაყურებლები მინდორზე ისროდნენ ბოთლებს და სხვადასხვა საგნებს, არბიტრი იძულებული გახდა შეეწყვიტა თამაში.

გარდა იმისა, რომ სტადიონი დისკვალიფიცირებულია, „ოსასუნა" დააჯარიმეს 200 ათასი პესეტით. ესპანეთის ჩემპიონატის მატჩი კი „ოსასუნასა" და მადრიდის „რეალს" შორის ხელახლა შედგება ნეიტრალურ სტადიონზე.

გამოხმაურება წერილზე: „რა დავარქვათ ჩვენს გუნდებს?"

# „კოლხეთი", „ამირანი"... და „ივერია"!

**29 იანვრის** „ლელოში" გამოქვეყნდა გაზეთ „ქუთაისის" რედაქტორის ალექსანდრე შენგელიას წერილი: „რა დავარქვათ ჩვენს გუნდებს?", სადაც გამოთქმული იყო მოსაზრება ქუთაისის ფეხბურთელთა და რეგბისტთა კოლექტივებისათვის სახელების გადარქმევის თაობაზე.

„ლელოს" მკითხველებს უთუოდ ემახსოვრებათ, რომ ამ თემაზე დიდი მსჯელობა გაიმართა ჯერ კიდევ 10-12 წლის წინ; მრავალი წერილიც გამოქვეყნდა საქართველოს გუნდებისათვის სახელების გადარქმევის თაობაზე. მაგრამ ე. წ. „უძრაობის" ხანაში რაიმე სასიკეთო ცვლილებებზე თვით ხმის ამოღებაც მეტი ფუფუნება გახლდათ, თორემ მის განხორციელებაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. დღეს კი ალბათ აქვს აზრი ადრინდელი სჯა-ბაასის განახლებას.

ვიდრე ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდისათვის მისთვის შესაფერის სახელწოდებაზე ვილაპარაკებთ, თავდაპირველად გავიხსენოთ, საიდან უნდა გაჩენილიყო თვით „ტორპედო". ორი აზრი არ არსებობს, ავტოქარხნელებმა ეს სახელწოდება ბრმად გადმოიღეს მოსკოველი კოლეგებისაგან, რომელთა გუნდსაც „ტორპედო" 1931 წლიდან ეწოდება. 20-იანი და 30-იანი წლები კი ის დრო იყო, როდესაც ბრიტანეთიდან ექსპორტირებული სპორტული სანახაობა პირველ ნაბიჯებს დგამდა ქვეყანაში და გუნდების სახელწოდებებიც ქვეყნის „დიად აღმშენებლობებს" ესიტყვებოდა: ჩნდებოდნენ „დინამოები" (მოსკოვის — 1923 წელს, თბილისის — 1925 წელს, კიევის — 1927 წელს), „ზენიტები" (ლენინგრადის — 193? წელს), „ლოკომოტივები" (მოსკოვში — 1936 წელს) და მისთანანი...

დღეს, როდესაც უარს ვამბობთ წარსულის ბევრ ავად სახსენებელ შემკვიდრეობაზე, ასევე უნდა უარვყოთ, დრომოჭმული სახელწოდებებიც!

ჩვენი აზრით, ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდს ყველაზე მეტად შეეფერება „კოლხეთის" სახელი, რადგან მისი სემანტიკური ჟღერადობა ორმაგად გაზრდის კოლექტივის თითოეული წევრის პასუხისმგებლობას და აამაღლებს მათ მოქალაქეობრივ და პატრიოტულ თვითშეგნებას. რაც შეეხება რეგბისტთა გუნდს, ალბათ მას მოუხდებოდა „ამირანის" სახელი, რადგან (ტრადიციული სიმბოლური გააზრება — თავისთავად) ამ მითოლოგიური გმირის ძალა და გამძლეობა სწორედ რომ შეესატყვისება ამ სახეობის სპორტსმენთა სპეციფიკას, სადაც ათლეტური ძალმოსილება სიჩაუქესთან არის წილნაყარი!

**გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სატირისა და იუმორის კლუბის „ილიკოსა და ილარიონის" საბჭო.**

თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის ანგარიშსწორების ანგარიშია: № 00070074 ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მრეწვმშენბანკის განყოფილება

## პასუხი ფეხბურთის გულშემატკივრებს, ვისაც სურს გაერთიანდეს „დინამოს" საფეხბურთო კლუბში

**რედაქციაში** მოდის შეკითხვები, სადაც ფეხბურთის გულშემატკივრები გვთხოვენ ვაცნობოთ თუ რა წესით მოხდება კლუბში გაწევრიანება, რამდენია შესატანი თანხა და რა შეღავათით სარგებლობენ კლუბის წევრები.

ვუპასუხებთ:

კლუბის დამფუძნებელ კონფერენციაზე მიღებულ დებულებაში ჩაწერილია, რომ საფეხბურთო კლუბის წევრი შეიძლება იყოს ყველა, ვინც აღიარებს და ასრულებს კლუბის წესდებას... იხდის საწევრო შესატანს — 2 მანეთს სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები და ჯარისკაცები, 12 მანეთს სხვა დანარჩენი კლუბის კოლექტიური წევრები შეიტანენ არანაკლებ 1000 მანეთისა.

უფლებებს შორის ამჯერად გამოვყოფთ ერთ პუნქტს. კლუბის წევრი „სარგებლობს ფასიანი აბონემენტის შეძენისა და თბილისის „დინამოს" მონაწილეობით სხვა ქალაქებში გამართულ მატჩებზე გულშემატკივრების ჯგუფთან ერთად გამგზავრების უპირატესობით".

აქვე შეგახსენებთ, რომ საწევროს შეტანა შეიძლება ნებისმიერ შემნახველ სალაროში. თბილისელები ქვითარს კლუბში წარადგენენ პირადად. დანარჩენები, თუ თბილისში არ უწევთ ჩამოსვლა, ქვითარს, პირად მისამართს, გვარის, სახელისა და მამის სახელის ზუსტი ჩვენებით, აგზავნიან კლუბის სახელზე: თბილისი — 380059, დილმის მასივი, III კვ. „დინამოს" საფეხბურთო კლუბი. საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე კლუბიდან მისი წევრები მიიღებენ საწევრო ბილეთს და სამკერდე ნიშანს. ვისაც აბონემენტის შეძენა სურს, ამის შესახებაც წინასწარ უნდა აცნობოს კლუბს. გადაწყდა, რომ კლუბის წევრებისთვის საფეხბურთო მატჩების დღეებში „დინამოს" სტადიონზე გამოიყოფა ცალკე სალარო, სადაც გარკვეული რაოდენობის ბილეთებს შეინახავენ მატჩის დღეს 12 საათამდე.

## დიეგო მარადონა: „მარადონა უნიკალურია!"

**ფრანგულ** გაზეთ „ეკიპის" კორესპონდენტმა შეძლო, თუმცა ეს ერთობ ძნელი საქმეა, ინტერვიუს აღება დიეგო მარადონასთან.

„დიეგო მარადონა განუმეორებელია, რომელსაც კონკურენტი არ ჰყავს" — ასე ლაპარაკობს თავის თავზე იტალიის „ნაპოლიში" მოთამაშე არგენტინელი ფეხბურთელი. ესაა ფრიად უცნაური, საკმაოდ ჭირვეული ხასიათის პიროვნება, როგორც ეს ნამდვილ ვარსკვლავს შეეფერება. მასთან შეხვედრა მხოლოდ საწვრთნელი ვარჯიშის შემდეგ შეიძლება. ჟურნალისტთა „თავდასხმისაგან" მარადონას იცავს მისი თავისებური პრეს-ატაშე ნეაპოლში, ქალბატონი სესილია. საიმისოდ, რომ მარადონა საუბრისთვის დაითანხმოს, სესილია რამდენიმეჯერ მიმართავს მას, ცდილობს არ გამოიწვიოს ფეხბურთელის ოდნავი უკმაყოფილებაც კი, და თუ თქვენით ის დაინტერესდება — მაშინ ისაუბრებს. ეს კი ნიშნავს, რომ კორესპონდენტი კი არა, არამედ თვითონ ის ატარებს საუბარს. „იუვენტუსი" — „ნაპოლის" შეხვედრის წინ ბოლო ვარჯიშის მერე მარადონა უხასიათოდ იყო. ის განსაკუთრებით არ წყალობდა ფრანგ ჟურნალისტებს და უარს აცხადებდა მათთან საუბარზე. მან გაიხსენა თუ როგორ შეადარა ფრანგულმა პრესამ იგი ჭირვეულ გოგონას.

მასთან შეხვედრა მაინც შედგა ტურინის აეროპორტის ვესტიბიულში („ნაპოლი" საფრანგეთში მიფრინავდა), სადაც დიეგო დათანხმდა „ეკიპთან" ინტერვიუზე:

● **თქვენ ისევ საფრანგეთში მიფრინავთ. გახსოვთ მატჩი ტულუზაში?**

— ეს ჩემი ყველაზე დიდი გაწბილება როდია. მართალია, მაშინ პენალტი ვერ გამოვიყენე, ისე კი საჯარიმოებიდან სისტემატურად გამაქვს გოლები.

● **თქვენ საკუთარი თავი შეუცვლელად მიგაჩნიათ, მაგრამ რომ შეგცვალონ?**

— მე ის ვიცი, რომ ასეთ შემთხვევაში დამნაშავე მხოლოდ თვითონ ვიქნები.

● **ევროპული თასის აღება უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, თუ იტალიის ჩემპიონატში გამარჯვება?**

— ნეაპოლში ყველა მატჩი მნიშვნელოვანია და ყოველ კვირადღეს ასი ათასი კაცი გვადევნებს თვალს, ამიტომაც ჩვენ მუდამ ვცდილობთ. ვოცნებობ, აგრეთვე, ევროპულ თასზეც.

● **„ნაპოლის" პრეზიდენტი კი ეროვნულ ჩემპიონატს ანიჭებს პრიორიტეტს.**

— ვიცი, მას იტალიის ჩემპიონობა სურს. მაგრამ ახალი ტიტულების მოპოვებაც რომ საჭიროა?

● **უფერულად ხომ არ გამოიყურება თქვენი „სავიზიტო ბარათი" ევროპის სათასო ტურნირებში გამარჯვების გარეშე?**

— დიახ, გეთანხმებით. „ბარსელონაში" იყო ამის შესაძლებლობა, მაგრამ მაშინ ფეხის მოტეხილობამ ყველაფერი არია.

● **1986 წელს თქვენ მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეთ, მერე კი მსოფლიო არენაზე არავითარი წარმატება არა გქონიათ. როგორ ურიგდებით ამ სიტუაციას?**

— ეს როგორც ჩემი პირადი, ასევე გუნდის პრობლემაცაა.

● **მიგაჩნიათ თუ არა თქვენი თავი შეძლებულ და ბედნიერ კაცად ნეაპოლში?**

— კარგი კონტრაქტი მაქვს და იმითაც ბედნიერი ვარ, რომ კვირაში ერთხელ ადამიანებს ცოტაოდენ სიხარულს ვანიჭებ.

● **ყოველთვის ღებულობთ თუ არა კმაყოფილებას მწვანე მინდორზე ყოფნისას?**

— ყოველთვის. მაგრამ დადგება დღე, როცა ვეტყვი კლუბის პრეზიდენტს: „გმადლობთ, ნახვამდის. არგენტინაში ვბრუნდები". ოთხი წელი იტალიის ჩემპიონატში — ეს წარმოუდგენლად დამქანცველია. ეს იგივეა, რომ სხვა ქვეყანაში ათი სეზონი ითამაშო. ჭაბუკური აგებულებისა ვარ, ხანდახან კი თავს ისე ვგრძნობ, როგორც ორმოცდათი წლის კაცი. ეს ყველაფერი გადაღლილობის შედეგია.

● **1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში თუ გსურთ მონაწილეობა?**

— ამერიკაში მინდა ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული არგენტინის ნაკრები ვიხილო. იმ ნაკრებში მე აღარ ვითამაშებ, რადგანაც უკვე 34 წლისა ვიქნები.

● **ამ დროისთვის „დიდი ფეხბურთიდან" წასვლას აპირებთ?**

— არგენტინაში უკვე აღარ ვითამაშებ. ამ დროისთვის შეიძლება ისეთ ქვეყნებში გავაგრძელო თამაში, სადაც შედარებით წყნარი ფეხბურთია. მაგალითად, საფრანგეთში.

● **უმაღლესი ლიგის გუნდებში სამ-სამი უცხოელი მოთამაშის დაშვების შემდეგ შეიძლება თუ არა ლაპარაკი იტალიური ფეხბურთის პროგრესზე?**

— ფეხბურთი იტალიაში სულ უფრო საინტერესო ხდება, მაგრამ ფეხბურთელთათვის მეტად დაძაბული. თუმცა, ჩვენ ბევრ ფულს გვიხდიან, რათა კვირაობით სიამოვნება მოვუტანოთ ტემპერამენტიან „ტიფოზებს". და, დამერწმუნეთ, ამისათვის ყველაფერს ვაკეთებთ.

● **წინა სეზონში იტალიის საუკეთესო ფეხბურთელი სხვა გახდა. გჭირდებათ კვლავ მოიპოვოთ ეს ტიტული?**

— ჩემი აზრით, ყოველთვის პირველი ვარ და მიმაჩნია, რომ მარადონა საერთოდ უნიკალურია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვებზე უკეთესი ვარ. უბრალოდ, მე განუმეორებელი ვარ. სხვათა შორის, იტალიის პრესაც ასე ფიქრობს.

● **რა აზრისა ხართ თქვენგან რომ კერპი შექმნეს მილიონობით ფეხბურთის მოყვარულთათვის?**

— ეს არ მომწონს და როცა ვინმე ამის შესახებ მელაპარაკება, გული მომდის.

● **თქვენ ცნობილი პიროვნება ბრძანდებით. ხელს გიშლით თუ არა ეს — ყოველდღიურ ცხოვრებაში?**

— ვარჯიშის შემდეგ შინ ვბრუნდები, ვუყურებ ტელევიზორს. საღამოობით მიყვარს მეუღლესთან ერთად რესტორანში წასვლა. ხალხი გვიცნობს და აფასებს ჩვენს კეთილ ურთიერთობებს.

„სპორტ ზა რუბეჟომიდან" თარგმნა
**თამაზ წიკლაურმა.**

## ცელეწაივა — გაითხველი

**ჰამბურგი.** მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირში თავი გამოიჩინეს ლენინგრადელმა ელენა დენდებუროვამ და კიროვსკელმა ნატალია ტრეფილოვამ. პირველი უძლიერესი იყო 200 მეტრზე კომპლექსურ (2.19,22), მეორე კი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (4.21,22).

**პარიზი.** მოეწყო ფრენბურთელთა ევროპული ტურნირების ფინალისტთა კენჭისყრა. ქალები. ჩემპიონთა თასი. „ურალოჩკა" (სვერდლოვსკი), „ოლიმპია ტეოდორა" (იტალია), „დინამო" (გდრ), ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე" (ბულგარეთი). შეჯიბრება მოეწყობა 10-12 თებერვალს ბრიუსელში.

**ბარსელონა.** მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 14 წლის უნგრელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა კრისტინა ეგერსეგიმ ოთხი პირველი ადგილი დაიკავა. მან გაიმარჯვა 100 და 200 მეტრზე გულაღმა და 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

**ნიუ-იორკი.** პროფესიონალ ჰოკეისტთა ეროვნული ლიგის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „ვაშინგტონი" — „ნიუ-იორკ რეინჯერსი" 4:3, „ჩიკაგო" — „ვინიპეგი" 7:4, „მინესოტა" — „ბოსტონი" 4:4, „ედმონტონი" — „ვანკუვერი" 4:3.

**მონრეალი.** კანადელმა წყალში მხტომელმა მარკ ფორისმა შეიცვალა პროფესია და მოცურავეთა ტურნირში სცადა ძალა. 50 მეტრი თავისუფალი სტილით მან 22,33 გაცურა. ეს შედეგი წლეულს მსოფლიოში მეორეა შვეიცარიელი სტეფან ვოლერის მაჩვენებლის შემდეგ (22,27).

**ბერლინი.** მშვიდობის ტრადიციული ველორბოლა კვლავ ძველი მარშრუტით (ვარშავა-ბერლინი-პრაღა) ჩატარდება. პარიზ-მოსკოვის იდეას მხარი არ დაუჭირა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა და იგი მოყვარულ და პროფესიონალთა ღია შეჯიბრებების კალენდარში არ შეიტანა. მშვიდობის მორიგი ველორბოლა სტარტს 8 მაისს აიღებს.

**მოსკოვი.** უკრაინელმა ველოსიპედისტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრე კირიჩენკომ 1000 მ. გიტში (ადგილიდან) ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 1.03,088. შეჯიბრების შემდეგ რეკორდსმენმა განაცხადა, რომ შესაძლოა ძალები სცადოს სპრინტშიც.

## ჭადრაკი

### ლიდერი შეიცვალა

**ყოველი** ტურის შემდეგ უფრო და უფრო საინტერესო ხდება ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო პირველობა, რომელიც თბილისის ჭადრაკის სახახლეში მიმდინარეობს.

VI ტურში პირველი დამარცხება იწვნია რიგელმა ოსტატმა ალექსეი შიროვმა. იგი კიეველმა საერთაშორისო ოსტატმა ვალერი ნევეროვმა დაამარცხა.

ედვარდ როზენტალისი და ლემბიტ ოლი მე-15 სვლაზე დაზავდნენ. ყაიმი აღინიშნა ვლადიმერ აკოფიანისა და ალექსეი დრეევის პარტიაშიც. გადაიდო სავჩენკო-ტიმოშენკოს, ანასტასიან-ულიბინის, გიორგაძე-სერპერის, შაბალოვ-რუბანისა და ეპიშინ-დაუტოვის პარტიები.

მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. **IV ტური:** ნევეროვი-გიორგაძე — 1:0, ეპიშინი-სერპერი — 0:1, აკოფიანი-რუბანი — 0,5:0,5, დრეევი-ტიმოშენკო — 0,5:0,5, შაბალოვი-ულიბინი — 0,5:0,5, ანასტასიანი-დაუტოვი — 0,5:0,5; **V ტური:** ულიბინი-სავჩენკო — 1:0, რუბანი-დრეევი — 0:1.

6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით დაწინაურდა კიეველი საერთაშორისო ოსტატი ვალერი ნევეროვი. შემდეგ მოდიან: აშოტ ანასტასიანი — 4 (1), ვლადიმერ აკოფიანი (ორივე — ერევანი) — 4, ლემბიტ ოლი (ტალინი), ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი) —3,5-3,5.

### ქულათა მაქსიმუმით

**გორის** ახალგახსნილ საჭადრაკო კლუბ „მთიებში" მიმდინარე საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ერთ-ერთ ნახევარფინალურ ტურნირში I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები გამოვლენ რესპუბლიკურ პირველობაზე, რომელიც მარტში თბილისში გაიმართება.

წილისყრის მიხედვით მონაწილენი ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: ეთერ კარელიძე (გორი), თინათინ რუაძე (გურჯაანი), ელენე ფარეშიშვილი (საგარეჯო), მაია ლომინეიშვილი, გიული ალიხანაშვილი (ორივე — თბილისი), მაია ხუციშვილი (გარდაბანი), მარინე ლებანიძე (თბილისი), ნინო ტატალაშვილი, ნინო დადეშელი, ანა დათუაშვილი (სამივე — გორი), იამზე თვაური (თბილისი), ეკა ტაბატაძე (საგარეჯო), ლელა თანდაშვილი (თბილისი), თათია მჭედლიძე (გორი), ნანი გიგაური (გორის რ-ნი), ნინო ღლონტი (თბილისი).

გათამაშებული 5 ტურის შემდეგ ასპარეზობას ერთპიროვნულად ლიდერობს ალიხანაშვილი, რომელმაც ხუთივე შეხვედრაში იმარჯვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება თვაური. 4-4 ქულა მოაგროვეს ფარეშიშვილმა, ლომინეიშვილმა და ღლონტმა. ხუციშვილსა და თანდაშვილს 3,5-3,5 ქულა აქვთ.

### წინსვლა შეფერხდა

**მოჭადრაკე** ვაჟთა 49-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური შესარჩევი შეჯიბრების VI ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — სამტრედიელი ალეკო ვაშაკიძე, რომელსაც ამ დროისთვის ქულათა მაქსიმუმი, 5-დან 5 ქულა ჰქონდა და ცხაკაიელი რომან სიჭინავა. იგი ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს. ამ შეხვედრაში სიჭინავამ იმარჯვა და ახლა გაუსწრო კიდეც ნახევარი ქულით უშუალო მეტოქეს. 5 ქულა მოაგროვა ბათუმელმა ისიდორ გოგეშვილმა. შემდეგ მოდიან შოთა კუჭუხიძე, ალეკო არსენიძე (ორივე — ქუთაისი), დათო წიქურიშვილი (რუსთავი), სოფიკო ტერელაძე (მან ბოლო ორ ტურში ორივე პარტია მოიგო), ნიკოლოზ ლექვეიშვილი (ორივე — სამტრედია), ფირუზ ცაგარეიშვილი (ვანი) — 4,5-4,5.

**ბექან ჩხაიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი.

(ტელეფონით).

### დაწინაურდა თბილისის ნაკრები

**თბილისის** სამედიცინო ინსტიტუტში მიმდინარეობს სამედიცინო ინსტიტუტების VII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება „სწრაფ ჭადრაკში" (30-30 წუთიანი პარტიები).

ტურნირში მონაწილეობს 12 გუნდი. თითოეული გუნდის შემადგენლობაში 3 ვაჟი და თითო ქალია.

ახლა მიმდინარეობს ნახევარფინალური შეჯიბრებები, I-VII ადგილებზე გასული გუნდები ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებენ. მეორე ანალოგიური შეჯიბრება ჩელიაბინსკში მიმდინარეობს.

6 ტურის შემდეგ 18,5 ქულით დაწინაურდა თბილისის ნაკრები. 18 ქულით II ადგილზე სიმფეროპოლის გუნდია.

### ჭადრაკში ვაჟთა მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩები

**სიეტლი** (აშშ). მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვისა და ისლანდიელი დიდოსტატის იოჰან ჰიარტარსონის მეოთხედფინალურ მატჩში ანგარიში გაიზარდა, შეხვედრის მესამე პარტიაში კარპოვმა 33-ე სვლაზე გაიმარჯვა და დაწინაურდა ანგარიშით 2,5:0,5.

• • •

**ანტვერპენი** (ბელგია). ამ ქალაქში მეოთხედფინალური მატჩის მეორე პარტია გაიმართა, რომელშიც მეტოქეები უნგრელი ლაიოშ პორტიში და ჰოლანდიელი იან ტიმანი დაზავდნენ (45-ე სვლაზე).

როგორც იცით, ამ მეტოქეების პირველი პარტია გადადებულია ტიმანისთვის უკეთეს პოზიციაში (მას „სახიფათო" გამსვლელი პაიკი აქვს).

### ელვა-ინფორმაცია

**მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის ანტვერპენის მეოთხედფინალურ მატჩში, როცა ლაიოშ პორტიში და იან ტიმანი მიუსხდნენ დაფას პირველი პარტიის დასამთავრებლად, ვერავინ იფიქრებდა, რომ ბრძოლა ასე დიდ ხანს გასტანდა. ტიმანს ხომ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ მეტოქეებმა კიდევ 44 სვლა გაითამაშეს, ჰოლანდიელმა დიდოსტატმა ვერ მოახერხა უპირატესობის რეალიზება და 105-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 1:1.**

■ ■ ■

**კანადის ქალაქ კვებეკში კი, სადაც არტურ იუსუპოვისა და კევინ სპრაგეტის მატჩი მიმდინარეობს, მეორე დამატებითი პარტიაც ყაიმით დამთავრდა და მატჩის ანგარიში გახდა 4:4. ახლა ბრძოლა პირველ გამარჯვებამდე გაგრძელდება, ოღონდ შემჭიდროებული კონტროლით.**



## ევროპის საკლუბო ტურნირები ნახევარფინალები და ფინალი

**დამთავრდა** ევროპის კალათბურთელ ვაჟთა თასების მფლობელთა თასის ჯგუფური ტურნირები. როგორც ვიუწყებოდით, კაუნასის „ჟალგირისმა" დაამარცხა დასავლეთგერმანიის „შტაინერი" და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ამ ჯგუფის მეორე მატჩი „ციბონასა" (ზაგრები) და აეკ-ს (საბერძნეთი) შორის იუგოსლავიელებმა მოიგეს — 94:82.

პირველი ჯგუფის ბოლო, მეექვსე ტურის მატჩები კი ასეთი შედეგებით აღინიშნა: „სნაიდერო" (კაზერტა, იტალია) — „შალე" (საფრანგეთი) 80:70, „რეალი" (მადრიდი) — „ჰაპოელი" (ისრაელი) 100:81.

ჯგუფური ტურნირების საბოლოო შედეგები:

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| **პირველი ჯგუფი** | | | | |
| „რეალი" | 6 | 5 | 1 | 11 |
| „სნაიდერო" | 6 | 3 | 3 | 9 |
| „ჰაპოელი" | 6 | 2 | 4 | 8 |
| „შალე" | 6 | 2 | 4 | 8 |
| **მეორე ჯგუფი** | | | | |
| „ჟალგირისი" | 6 | 4 | 2 | 10 |
| „ციბონა" | 6 | 4 | 2 | 10 |
| „შტაინერი" | 6 | 2 | 4 | 8 |
| აეკ-ი | 6 | 2 | 4 | 8 |

გაიმართა ნახევარფინალისტთა შეხვედრა, რომელშიც გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ჟალგირისი" — „სნაიდერო" და „რეალი" — „ციბონა". ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 14 და 21 თებერვალს, ფინალი კი 14 მარტს, საბერძნეთში.

## „სპორტპროგნოზის" ორი სპეციალური ტირაჟი

**ფეხბურთის** მოყვარულთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირები. ამ დიდი ინტერესის გათვალისწინებით სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ გადაწყვიტა ჩაატაროს ორი სპეციალური ტირაჟი.

პირველი ტირაჟის პროგრამაში შეტანილია ის მატჩები, რომლებიც გაიმართება 1 მარტს, მეორე ტირაჟის პროგრამაში — საპასუხო შეხვედრები, რომლებიც 15 მარტს ჩატარდება.

სპეციალური ტირაჟისთვის ბილეთების შევსება ხდება ჩვეულებრივი წესით, ამასთან, მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ თითოეულ ბილეთში პროგნოზირება უნდა გაუკეთდეს მხოლოდ ერთი სპეციალური ტირაჟის პროგრამით გათვალისწინებულ შეხვედრებს. ამიტომ, ბილეთის ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრედებში მკაფიოდ უნდა ჩაიწეროს: პირველი სპეცტირაჟისთვის „C1", მეორე სპეცტირაჟისთვის „C2".

სპეცტირაჟის ბილეთების მიღება დაიწყება 6 თებერვალს და დამთავრდება:

— პირველი სპეცტირაჟისთვის — მეცხრე ტირაჟისთვის შევსებულ ბილეთებთან ერთად, ე. ი. არაუგვიანეს 24 თებერვლისა;

— მეორე სპეცტირაჟისთვის — მეთერთმეტე ტირაჟისთვის შევსებულ ბილეთებთან ერთად ე. ი. არაუგვიანეს 10 მარტისა.

შევსებული ბილეთების „ბვ" ნაწილების მიღებისა და „სპორტლოტოს" ყუთებში ჩაშვების კონკრეტული უკანასკნელი ვადები მითითებული იქნება ყოველ მიმღებ პუნქტსა და „სპორტლოტოს" ყუთებზე.

### პირველი სპეციალური ტირაჟის პროგრამა

**ევროპის საფეხბურთო ტურნირების მეოთხედფინალური მატჩების პირველი შეხვედრები (1 მარტი)**

**ჩემპიონთა თასი**

1. „გიოტებორგი" (შვეცია) — „სტიაუა" (ბუქარესტი, რუმინეთი)
2. „ვერდერი" (გფრ) — „მილანი" (იტალია)
3. „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი)
4. „მონაკო" — „გალათასარაი" (თურქეთი)

**თასების მფლობელთა თასი**

5. „აინტრაჰტი" (ფრანკფურტი, გფრ) — „მეჰელენი" (ბელგია)
6. „სრედეცი" (ბულგარეთი) — „როდა" (ჰოლანდია)
7. „დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „სამპდორია" (იტალია)
8. „ორჰუსი" (დანია) — „ბარსელონა" (ესპანეთი)

**უეფა-ს თასი**

9. „ვიქტორია" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „დინამო" (დრეზდენი, გდრ)
10. „შტუტგარტი" (გფრ) — „რეალი" (სან-სებასტიანი, ესპანეთი)
11. „ჰარტსი" (შოტლანდია) — „ბავარია" (გფრ)
12. „იუვენტუსი" (იტალია) — „ნაპოლი" (იტალია) 1 ტაიმი
13. „იუვენტუსი" (იტალია) — „ნაპოლი" (იტალია) 2 ტაიმი

**შენიშვნა: იმის გათვალისწინებით, რომ ტურნირებში მონაწილეობს გუნდების 12 წყვილი, იტალიის „იუვენტუსისა" და „ნაპოლის" თამაშის ორივე ტაიმს პროგნოზირება უნდა გაუკეთდეს ცალ-ცალკე.**

### მეორე სპეციალური ტირაჟის პროგრამა

**ევროპის საფეხბურთო ტურნირების მეოთხედფინალური მატჩების საპასუხო შეხვედრები (15 მარტი)**

**ჩემპიონთა თასი**

1. „სტიაუა" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „გიოტებორგი" (შვეცია)
2. „მილანი" (იტალია) — „ვერდერი" (გფრ)
3. „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია)
4. „გალათასარაი" (თურქეთი) — „მონაკო" (მატჩი ჩატარდება ნეიტრალურ მოედანზე)

**თასების მფლობელთა თასი**

5. „მეჰელენი" (ბელგია) — „აინტრაჰტი (ფრანკფურტი, გფრ)
6. „როდა" (ჰოლანდია) — „სრედეცი" (ბულგარეთი)
7. „სამპდორია" (იტალია) — „დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი)
8. „ბარსელონა" (ესპანეთი) — „ორჰუსი" (დანია)

**უეფა-ს თასი**

9. „დინამო" (დრეზდენი, გდრ) — „ვიქტორია" (ბუქარესტი, რუმინეთი)
10. „რეალი" (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „შტუტგარტი" (გფრ)
11. „ბავარია" (გფრ) — „ჰარტსი" (შოტლანდია)
12. „ნაპოლი" (იტალია) — „იუვენტუსი" (იტალია) 1 ტაიმი
13. „ნაპოლი" (იტალია) — „იუვენტუსი" (იტალია) 2 ტაიმი

**შენიშვნა: მხედველობაში მიიღება ძირითად დროში ნაჩვენები შედეგი. იმის გათვალისწინებით, რომ ტურნირებში მონაწილეობს გუნდების 12 წყვილი, იტალიის „ნაპოლისა" და „იუვენტუსის" თამაშის ორივე ტაიმს პროგნოზირება უნდა გაუკეთდეს ცალ-ცალკე.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

**პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს თბილისის მძლეოსნობის სასახლე**

გიწვევთ: აერობიკის, ათლეტური ტანვარჯიშის, ბრეიგდანსის, სირბილის მოყვარულთა ჯგუფის, მხატვრული ტანვარჯიშის, აკრობატიკის, საერთო ფიზიკური მომზადებისა და ჩინური ტანვარჯიშის „უშუ"-ს საბონიმენტო ჯგუფებში სამეცადინოდ.

მეცადინეობები ტარდება შემდეგ დღეებში:

1. საერთო ფიზიკური მომზადება — ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი 19 საათიდან;
2. აერობიკა — ყოველდღე 19 საათიდან;
3. აკრობატიკა — სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი 18 საათიდან;
4. მხატვრული ტანვარჯიში — ყოველდღე 18 საათიდან;
5. ბრეიგდანსი — ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი 19 საათიდან;
6. ათლეტური ტანვარჯიში — ყოველდღე 19 საათიდან;
7. სირბილის მოყვარულთა ჯგუფი — სამშაბათი, ხუთშაბათი შაბათი 19 საათიდან;
8. ჩინური ტანვარჯიში „უშუ" — ყოველდღე 19 საათიდან;

მუშაობს აგრეთვე ჰიდრომასაჟის და მშრალი მასაჟის კაბინეტები.

კვირა დღე გამოცხადებულია ღია კარის დღედ (შეჯიბრების დამთხვევის გარდა). მსურველებს შეუძლიათ იმეცადინონ დილის 10 საათიდან. იმუშავებს საუნა.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასახლის საკონსულტაციო პუნქტს. სასახლის მისამართია: აკ. წერეთლის გამზირი 95-ა, ტელეფონი 34-70-09.

საქართველოს სპორტსახკომი და „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ფეხბურთში ვლადიმერ ელოშვილს გარდაეცვალა დედა

**ნინო ივანეს ასული ფხუტური-ელოშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66406. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზებით კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05706